

თურქული სასპორტო ლექსიკა თანამედროვე ქართულ მეტყველებაში

TURKISH SPORTS VOCABULARY IN MODERN GEORGIAN LANGUAGE

ვაჟა დანელია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Vaja Danelia

Georgian Technical University
Tbilisi, Georgia

აბსტრაქტი

ქართული ენა, როგორც კულტურული და ისტორიული კონტაქტების მდიდარი სისტემის მატარებელი, საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ენის ლექსიკურ ერთეულებს სესხულობდა და გარდაქმნიდა. ერთ-ერთი თვალსაჩინო სფერო, სადაც ეს პროცესი ნათლად ჩანს, არის სპორტი და მასთან დაკავშირებული სიტყვები. განსაკუთრებული ინტერესის საგანია იმ თურქული წარმოშობის სასპორტო ტერმინების კვლევა, რომლებიც ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში შემოვიდა ქართულ მეტყველებაში და ქართულ კულტურულ-ენობრივ სისტემაში დამკვიდრდა.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია ამ სიტყვების ქართული ენის ლექსიკურ სისტემაში ინტეგრაციის ისტორიული მექანიზმების ანალიზი. ეს საშუალებას იძლევა, შევაფასოთ ქართულ ენაზე მათი გავლენა როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე გამოყენების თვალსაზრისით, რადგან ამ ლექსიკის გავრცელება ერთდროულად ასახავს რეგიონულ კავშირებსა და ენობრივ დინამიკას. ეს კი ჩვენს თემას აქტუალურ ლინგვისტურ საკითხად აქცევს. ამჯერად ნაშრომში ყურადღება დაეთმობა ისეთ გავრცელებულ ტერმინებს, როგორებიცაა: თამაშობა, ვარჯიში, თულიხჩი, მოედანი და ჩოხა. ისინი დიდი ხანია, აქტიურად გამოიყენება სპორტსმენების, მწვრთნელების, კომაგების, სპორტის ჟურნალისტებისა თუ კომენტატორების მეტყველებაში.

კვლევის მნიშვნელობა განპირობებულია იმითაც, რომ სპორტი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სფეროა ენობრივი ინოვაციების თვალსაზრისით. მეთოდოლოგიურად, ნაშრომი დაეფუძნა შედარებით ანალიზს, ასევე, ისტორიული წყაროებისა და ლექსიკოგრაფიული მასალის გამოყენებას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნული ტერმინები მეტწილად უკვე ლექსიკალიზებულია ქართულში, ხშირად ფონეტიკურად

ადაპტირებული ფორმით, ხოლო გრამატიკული კუთხით ექვემდებარება ქართული ენის წესებს – იღებენ შესაბამისი ბრუნვის ფორმას. ყოველივე ეს კი ნათლად აჩვენებს ენის ადაპტაციის მექანიზმების მოქნილობასა და, ამავდროულად, ახლო კულტურულ-სოციალური გარემოდან შემოსული ლექსიკის მიმართ ქართული ენის მიმდებლობას.

საკვანძო სიტყვები: სასპორტო ლექსიკა, თურქული ტერმინოლოგია ქართულში, ნასესხები ლექსიკა.

ABSTRACT

The Georgian language, as a bearer of a rich system of cultural and historical contacts, has borrowed and adapted lexical units from various languages for centuries. One of the prominent areas in which the process of linguistic borrowing is distinctly attested is the sports-related lexicon. Of particular interest is the study of the sports terms of Turkic origin that entered Georgian language in past centuries and became integrated into the Georgian cultural and linguistic system.

The present article aims to analyze the historical mechanisms by which these words became integrated into the lexical system of the Georgian language. The study of Turkish sports vocabulary makes it possible to assess its influence on the Georgian language both historically and in modern usage. The spread of this vocabulary simultaneously reflects regional connections and linguistic dynamics, making the topic a relevant subject of linguistic inquiry. Particular attention is given to terms such as game, exercise, tulukhchi (water carrier), field, and chokha (outer tunic, traditional Caucasian coat), and others, which have long been in active use in the speech of athletes, coaches, fans, sports journalists, and commentators.

The importance of this study stems from the fact that sport represents one of the most dynamic domains of linguistic innovation. Methodologically, the study relies on comparative analysis and draws upon historical sources and lexicographic materials.

As a result of the study, it was revealed that most of these terms have already been lexicalized in Georgian, often in a phonetically adapted form. Grammatically, they conform to the rules of the Georgian language and take the appropriate case markers. Overall, these findings clearly demonstrate both the flexibility of adaptation mechanisms in Georgian and its marked receptivity to lexical borrowings originating from culturally and socially adjacent communities.

Keywords: Sports vocabulary, Turkish terminology in Georgian, borrowed vocabulary.

შესავალი

თანამედროვე სასპორტო ლექსიკა ხშირად სხვადასხვა ენობრივი კულტურების კვალს ატარებს, რაც გლობალიზაციის პროცესს, ასევე, სხვადასხვა ეპოქაში მომხდარ კონტაქტებსა და ენათშორის ურთიერთობებს უკავშირდება. მოცემულ კვლევაში ყურადღება გამახვილებულია იმ კონკრეტულ ტერმინებზე, რომლებიც ქართულ სასპორტო მეტყველებაში თურქულიდან ნასესხობით დამკვიდრდა. თითოეული მათგანი საკუთარ ისტორიას ატარებს: ნაწილი ფუნქციურად გამყარებულია ყოველდღიურ მეტყველებაში, ნაწილი კი უფრო კულტურულ-სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. ამგვარი ტერმინების კვლევა ნათელს ჰფენს, ნასესხები სიტყვა ქართული ენობრივი სისტემის ორგანულ ნაწილად თუ როგორ იქცა.

თურქიზმების გავრცელება ქართულში მხოლოდ მექანიკური სესხება არ ყოფილა; იგი სოციალურ რეაქციებს, ისტორიულ კონტაქტებსა და ხალხთა ყოველდღიური ცხოვრების სპეციფიკას ასახავს. სასპორტო ლექსიკა ქართულ ენაში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს, რომელიც სწორედ ხალხთა ისტორიული ურთიერთობებისა და კულტურული კონტაქტების შედეგებს გვიჩვენებს. სპორტი და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ყოველთვის იყო არა მხოლოდ ფიზიკური საქმიანობის, არამედ სოციალური ურთიერთქმედებისა და კულტურული თვითგამოხატვის სარკე.

კვლევის შედეგად გამოიკვეთება ენობრივი კავშირების დინამიკა და ის პროცესები, რომლებმაც ხელი შეუწყო ქართული სასპორტო ტერმინოლოგიური სისტემის დახვეწას, სპორტის სფეროში ერთიანი სტანდარტების დამკვიდრებას და ქართული ენის განვითარებისთვის საჭირო ლექსიკოგრაფიული რესურსების გამდიდრებას.

კვლევის მეთოდები

მეთოდოლოგიურად ნაშრომი დაეფუძნა შედარებით ანალიზს, ასევე, ისტორიული წყაროებისა და ლექსიკოგრაფიული მასალის გამოყენებას.

მსჯელობა

ტერმინი „თამაში“ დღეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიტყვაა ქართულში, რომელიც როგორც სასპორტო აქტივობას, ასევე, გართობასა და სხვადასხვა სახის ინტელექტუალურ თუ კულტურულ მოქმედებას აღნიშნავს. ამ სიტყვამ მკვიდრად მოიკიდა ფეხი ქართულ ლექსიკაში. მისი გავრცელების ისტორია რეგიონში მრავალენოვან კონტაქტებთან არის დაკავშირებული.

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ გვაუწყებს, რომ „თამაშობა - (თამაშა თათრულად სანახავსა ჰქვიან, ხოლო თამაშობა ქართულად მღერა-შექცევათა სახელია) ესეცა განიყოფების (განიყოფებიან) ექვსად: ასპარეზობად, მღერად, ფუნდრუკად, ხუნტრუცად, როკვად და შექცევად“ (ორბელიანი 1991: 298).

ელიდა კვანტალიანის ქართულ-თურქული ლექსიკონის მიხედვით, სანახაობა თურქულად არის **temaşa**, სანახაობის ყურება – **temaşa etmek** (კვანტალიანი 2010).

იოსებ გრიშაშვილი ქალაქურ ლექსიკონში „თამაშას“ // „თამასას“ განმრტავს როგორც: „ფარდალალა კარებზე აკრულ გრძელ რეიკას, პლანკას და სანახავს, სეირს, გართობას, შექცევას“, ოღონდ სიტყვის წარმომავლობა არ არის მითითებული (გრიშაშვილი 1997: 107).

თურქული **temaşa** „სანახაობის“ მნიშვნელობით ქართულ ენაში დიდი ხანია გამოიყენება. მაგალითად, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი ამბობს: „ველარ ვუჭრეტი ლაშქართა, მინდორს **თამაშად** მავალთა“ (სტრ, 367). აქ სიტყვა **თამაშად**, ზოგი მეცნიერის ვარაუდით, არაბულ ფორმასთან არის მიახლოებული და სვლას, გასეირნებას, გართობას აღნიშნავს (ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ ეს ფორმა არა თურქულიდან, არამედ არაბულიდან უნდა მომდინარეობდეს მხიარულების აღსანიშნავად). „ვეფხისტყაოსანში“ **„თამაშად“** ახსნილია, როგორც – სავარჯიშოდ, მანევრებისათვის მავალი (რუსთაველი 1992: 124).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რაფიელ ერისთავის მიერ რუსულიდან გადმოყვანილ ორმოქმედებიან ვოდევილში („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“) ელისაბედი აპოლონს თითქმის ემუქრება: „ერთი კიდე გაზედე რამე!... გიჩვენებ შენს თამაშას!...“ (ერისთავი 1991: 106).

ლადო ასათიანი წერს:

„საით წავიდნენ ვაჟები, რად მიატოვეს რაშები,

რაშები **თამაშ-თამაშა**, ომებში ნათამაშები?!“ (ასათიანი).

დავით ჩუბინაშვილის აზრით, **თამაშა**, **თამაში** სპარსულია. ეს არის შექცევა თვითოგვარი, უცხო სანახავი რამ, увеселенье, зрелище; ვეფხ. 1060 (ჩუბინაშვილი 1984: 546).

იმის მიუხედავად, რომ სიტყვას აქვს უცხოური (როგორც ვარაუდობენ, თურქულთან ერთად არაბული და სპარსული) პარალელები, მისი ქართული ფორმა, როგორც ვხედავთ, მეტად ძველია და ხომ არ არის სავარაუდო, რომ ის კავკასიური წარმომავლობისაა.

ყოველ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ თურქულიდან ნასესხები ტერმინი **temaşa** ქართულში თავდაპირველი მნიშვნელობით რიტუალურ მოძრაობებთან ყოფილიყო დაკავშირებული (ხომ ცნობილია, რომ ნებისმიერი სანახაობა – თეატრალური თუ სასპორტო, ღმერთებისთვის იქმნებოდა), ხოლო მოგვიანებით ის განზოგადდა, კერძოდ, ინტენსიური კულტურული კავშირების დროს, შესაძლოა, ეს სემანტიკა გამყარდა და ქართულ **„თამაშას“** დინამიკური მნიშვნელობები (პაექრობა, ცეკვა, ორთაბრძოლა) დაემატა – თურქული ტერმინი ტრადიციული თამაშებისა და შეჯიბრებების ერთგვარი ზოგადი სახელწოდება გახდა.

ამის ნათელი დასტურია ძველფრანგულიდან მომდინარე ტერმინი **„სპორტი“**. ის თავიდან გართობას აღნიშნავდა. მაგალითად, ფრანგი მწერლის – ფრანსუა რაბლეს თხზულებაში „გარგანტუა და პანტაგრუელი“ ეს სიტყვა დაახლოებით 60-ჯერ არის გამოყენებული და ყველგან – გართობა-სეირის, „თავშეცევის“ (ერთობა, თავს იქცევს) აღსანიშნავად (Rabelais 2016).

დღევანდელი საშეჯიბრო მნიშვნელობა „სპორტმა“ XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან შეიძინა ამ საქმის პიონერად მონათლული ინგლისელი პედაგოგისა და ისტორიკოსის, თანამედროვე მნიშვნელობით სიტყვა სპორტის „მამის“, 1828-1841 წლებში ქალაქრაგბის კოლეჯის რექტორის, ექიმ ფსიქიატრ **თომას არნოლდის** დამსახურებით (დანელია 2021: 49). სპორტი მან ასე განმარტა: ძალის, სისწრაფის, გამძლეობისა და მოხერხებულობის გამოვლენა ასპარეზობის პროცესში. ზოგი მეცნიერის ვარაუდით კი, **სპორტი** საშეჯიბრო საქმიანობის მნიშვნელობით **თომას ჰიუზის** 1857 წელს

დაბეჭდილ რომან „ტომ ბრაუნის სკოლის დღეებიდან“ იღებს სათავეს, ვიდრე უშუალოდ თვით არნოლდის იდეებიდან (Хьюз 2006).

ცნობილი მკვლევარ ნიკოლაი ვიზიტეის აზრით, სპორტის ფუძემდებლური თვისებაა შეჯიბრება, სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია. სადაც შეჯიბრება არ არის, იქ სასპორტო საქმიანობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება (Визитей 2006).

მართებულად შენიშნავს პროფ. რევაზ ნათაძე: „თამაში ფსიქოლოგიაში ბავშვისთვის დამახასიათებელი პროცესუალური ხასიათის ქცევის ფორმაა: ბავშვისთვის თამაშის მიზანი თვით თამაშია. თუ ბავშვს სხვა მიზანი ამოქმედებს, მაგ., მოგებისა, მაშინ ფსიქოლოგიურად ის თამაში აღარ იქნება. თუ თამაშის მოტივი ამ მოქმედებით სხვასთან შეჯიბრებაში გამარჯვებისადმი სწრაფვაა, მაშინ იგი ფსიქოლოგიურად სპორტის სახეს იღებს“ (ნათაძე 1979: 581).

როგორც ზემოთ ითქვა, „Tamaşa“ თურქულად, ასევე, აზერბაიჯანულადაც, წარმოდგენას, სანახაობას, სათვალსიერო რამეს (დადგმა, შეჯიბრება) აღნიშნავს (ინტერნეტი თამაშა). საინტერესოა ისიც, რომ Tamaşa სოფელია აზერბაიჯანში, ქალბაჯარ-ლაჩინის რეგიონში.

ამ სიტყვის კვალი ინდოეთშიც იძებნება – „**თამაშა**“ ინდური საცეკვაო-სასიმღერო წარმოდგენაა. აღმოცენებულია დაახლოებით XVII საუკუნეში მარახატების ომის პერიოდში როგორც ლირიკულ-ჰეროიკული სიმღერების ჟანრი, მიძღვნილი კრიშნასა და მარატჰას მეომრების გმირობისადმი. წარმოდგენა იმართებოდა დეკორაციების, გრიმის, კოსტიუმების გარეშე. დიდი ადგილი ეჭირა პანტომიმას, რომელიც მოძრაობით ასახავდა სიმღერის შინაარსს. მომღერალს ხშირად ეხმაურებოდა გუნდი, დოლის, წინწილისა და ფლეიტისგან შემდგარი მცირე ორკესტრი.

XIX საუკუნეში **თამაშა** გადაიქცა ხალხურ სანახაობად. ბჰავაის მსგავსად, მან სახე იცვალა. მდიდართა გართობის მიზნით, მსახიობები იყენებდნენ უხამს ჟესტებს, რის გამოც მასში მონაწილენი მიიჩნეოდნენ დაბალი ზნეობის ადამიანებად. დღეისათვის „თამაშას“ მოხეტიალე მსახიობები ასრულებენ (<https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/Game>).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, **ვარჯიში** თურქთა ენაა, ქართულად **სეფური** ჰქვია (სეფური – ესე არს მრავალჯერ ქ(მ)ნილთ(ა) საქმე გაიადვილოს, რაი(ც) ენებოს საქნელად, გინა სწავლად), „ვითარცა მონადირესა გამოცდილსა ადგილთა ძნელთა, ვითარცა სეფურისა გამოცდილებასა სირბილისასა იქმს, რათა სცნას სირბილისა მის სიმაღლე“ (ორბელიანი 1991: 257).

ნიკო ჩუბინაშვილის აზრით, **ვარჯისი**, **ვარჯიში**, **ვარჯისობა** არის **ხელოვნება**, **ზეპირობა**, упражнение, повторение наизусть (ჩუბინაშვილი 1961). ამავე აზრისაა დავით ჩუბინაშვილი: **ვარჯისება**, **ვარჯისობა** – ვხელოვნობ, გავიმეორებ (ჩუბინაშვილი, 1984: 503.). თავდაპირველი ფორმა იყო ვარჯისი, შემდეგ ასიმილაციით (შიშინამ სისინა ბგერა დაიმსგავსა) მივიღეთ ვარჯიში.

ქართულში ზმნის ფორმა „ვარჯიშობს“ თურქულ კონსტრუქციას (თუმცა ბგერითი სტრუქტურა ქართულია) უახლოვდება. თურქულ სიტყვა „alıştırma-სთან“ ან ძველ სპარსულ „varzesh-თან“ (وارزش – ვარჯიში, ფიზიკური აქტივობა) შეიძლება დავინახოთ სემანტიკური თანხვედრა. სიტყვა „**ვარჯიში**“, შესაძლოა, ამავე სპარსულ ფუძეზე დაყრდნობით

მომდინარეობდეს. ქართულმა ენამ ფიზიკური სავარჯიშოს ცნება ისეხა და მას კულტურული მნიშვნელობა მისცა – „ვარჯიში“ სასპორტო და სააზროვნო სფეროში ერთნაირად დამკვიდრდა. თურქული სიტყვა ჯერ, ალბათ, სამხედრო ლექსიკონში აღმოჩნდა, შემდეგ კი სპორტზე, ქორეოგრაფიასა და ზოგად ფიზიკურ აქტივობაზე გავრცელდა. სიტყვამ დროთა განმავლობაში საწყისი ზოგადი მნიშვნელობა დაკარგა და გამოკვეთილად დისციპლინასთან, ძალისხმევასა და ორგანიზებულ საქმიანობასთან ასოცირდება. დღევანდელ ქართულ მეტყველებაში იგი ერთ-ერთი ძირითადი ტერმინია, რომელიც აქტიურად გამოიყენება როგორც პროფესიულ სპორტში, ასევე, ყოველდღიურ საუბარში.

ცნობილია, რომ საქართველოს დასახლებულ პუნქტებში ფართოდ გამოიყენება მოედნები, რაც თურქული მმართველობის ეპოქას უნდა უკავშირდებოდეს. მეიდანს იყო არა მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე, არამედ – სოციალური ცენტრი, ქალაქების გულში ხალხური ღონისძიებების ადგილი, სადაც ტარდებოდა ფიზიკური შეჯიბრებები, ხალხური თამაშები და საზოგადოებრივი შეკრებები. შესაბამისად, ტერმინი „მეიდან“ პირდაპირ უკავშირდება სასპორტო ცხოვრებას და დღემდე მნიშვნელოვან კულტურულ დატვირთვას ინარჩუნებს, როგორც ფიზიკური აქტივობის, ისე კოლექტიური ცხოვრების სივრცის აღმნიშვნელი. ის თურქული „meydan“ სიტყვიდან მოდის. სულხან-საბას განმარტებით, **მეედანი/მეიდან** – სხვათა ენა, ქართულად **მერე** და **მინდორი** და **ფორე** ჰქვია (ორბელიანი 1991). საბასვე მოსაზრებით, **მინდორი** მცირე ველია, უტყეო ადგილი, ხოლო **მერე** – მეედანი, სწორი ვაკე; სწორი ადგილი; **მერე** არს მდინარის კიდე, ვაკე, ჭალა (ორბელიანი 1991).

მოედნის აღსანიშნავად ტერმინ „**ასპარეზსაც**“ იყენებენ. სულხან-საბას მიხედვით, ეს სიტყვა „სომხურად სტადიონს ჰქვია, ხოლო ქართულად **მინდორსა**, რომელ არს მეიდან; ასპარეზი არს სტადიონი, გინა უტევანი, მინდორადაც ითქმის სამღერელად ჭაბუკთა (ორბელიანი 1991: 70). განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **ასპარეზი** სპარსულია – მოქმედების, მოღვაწეობის არე, სარბიელი (ქეგლ 1986: 40).

თულუხჩი შედარებით იშვიათად გამოყენებული, მაგრამ ისტორიულად მნიშვნელოვანი სიტყვაა. მე-19 საუკუნეში თბილისის მოსახლეობის ზრდასთან ერთად სასმელად თუ საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის წყალზე მოთხოვნილებამ იმატა. დედაქალაქის მაცხოვრებლები მდინარის წყალს იყენებდნენ. პრობლემას მეტწილად **თულუხჩეები** წვეტდნენ (ნადირაძე 2011). 1893 წლიდან ქალაქის თვითმმართველობამ თბილისში ტყავის თულუხები ხის კასრებით შეცვალა, მაგრამ სახელწოდება მაინც ძველი შემორჩა. წყლის მზიდავს **თულუხჩი** ან **მეთულუხჩე** ერქვა, გვაუწყებს ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ჯალაბაძე 1980: 8).

სიტყვა „თულუხჩი“ ორი ნაწილისგან შედგება: თურქ. **თულუხ** („tuluk“) აღნიშნავს ტყავის ტომარას, წყლის საზიდავ რუმბს, ამზადებდნენ ხარის ან კამეჩის ტყავისგან, ხოლო **-ჩი** (-çi) სუფიქსია.

ქეგლ-ის განმარტებით, თურქული სიტყვა **თულუხჩი** – ივივეა, რაც მეთულუხზე (ქეგლ 1986: 242); მეთულუხზე (ძვ.) თულუხით წყლის მზიდავია (ქეგლ 1986: 288).

თურქულსა და აზერბაიჯანულში **-ჩი** სუფიქსი მოქმედ საგანს (პროფესიას) აღნიშნავს. როგორც ქართულში **მე-ე** თავსართ-ბოლოსართი. მაგალითად, „ჩორაქ“ არის პური, „ჩორაქჩი“ – მეპურე, თოფჩი – მეთოფე, ნეფთჩი – მენავთობე, **თულუხჩი – მეთულუხე**, წყლის მზიდავი, ამიტომ **მეთულუხე** შეცდომაა.

იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვითაც **თულუხი** არის ტყავით წყლის მომტანი, მერწყული, 2. „კოკის მსგავსი სპილენძის ჭურჭელია. მთიულეებშიაც ხმარობენ“ (გრიშაშვილი 1997).

„ტფილისური თულუხჩი“ ქართულ მეტყველებაში ბოლო დროს ისევ იკიდებს ფეხს. ჩვენებური რაგბის მემატთანე ზაალ გიგინეიშვილი ერთ-ერთ ნაშრომში წერს, რომ მატჩებისას მორაგბეთა დასარწყულებლად მოედანზე შემავალ კაცს ინგლისურად „ვოთერ ქერიერ“ (WATER CARRIER – წყლის შემომტანი) ჰქვია, ჩვენ კი ტფილისური **თულუხჩი** შევუსაბამეთო, ანუ ქართულ კონტექსტში ეს სიტყვა სასპორტო ტერმინოლოგიის ნაწილად იქცა (გიგინეიშვილი 2014: 74-79).

ძველ ქართულში იმ ადამიანის აღსანიშნავად, ვინც არწყულებდა, გამოიყენებოდა სიტყვა **მერწყული** – (ძვ.) წყლის მზიდავი (ქეგლ 1986: 289), რომელსაც დღეს მხოლოდ ასტროლოგიაში ვხვდებით. თუმცა იმავე მნიშვნელობით გვხვდება მეორე ტერმინი **მერწყულე**. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით (ორბელიანი 1991), **მერწყული** წყალთმზიდავია (წყლის მზიდავი). ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის [აბულაძე 1973, 233] მიხედვით, **მერწყული, მერწყულე** წყლის მომტანს ნიშნავს („იყვნენ იგინი მრეშუველი (მრეშველი - მეშვე) და **მერწყულე**; „არა მოგაკლდეს თქვენგან მონა, მრეშუველი და **მერწყული**“ (M. ისუ ნ. 9.21 და 23). **თულუხს, თულუხჩსა და მეთულუხეს** სულხან-საბასა და აბულაძის ლექსიკონები არ იცნობს (დანელია 2022: 38-43).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა, **თულუხჩის** (ან არასწორი ფორმა **მეთულუხჩე**) ნაცვლად, **მერწყულე** (მერწყული უფრო ზოდიაქოსთან ასოცირდება) დაგვემკვიდრებინა?

ამ სიტყვის კვლევა ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება ყოველდღიური ნივთის სახელწოდება სასპორტო ტერმინად იქცეს და ეთნოკულტურულ რეალიებს ასახავდეს.

ჩოხა, მამაკაცის ტრადიციული ქართული სამოსი, საუკუნეების განმავლობაში ფართოდ გამოიყენებოდა კავკასიის რეგიონში, მათ შორის სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩეჩნეთში, დაღესტანსა და სხვა მეზობელ ხალხებში, რაც ფონეტიკურად სხვადასხვა ფორმით დასტურდება: აზერ. Çuxa; ინგშ. чокхи; ხუნძ. чухъа; ლეზ. чухва; ოს. цухъа (диг. цохъа); ჩეჩ. чокхин; სომხ. չուխա; რუს. Черкеска.

მეცნიერთა ვარაუდით, სიტყვა „**ჩოხა**“ ჩვენთან ქსოვილის სახელწოდებით თურქეთიდან შემოვიდა, თუმცა ქართულმა სოციალურმა გარემომ ახალი ფუნქცია მიანიჭა – მან თანდათანობით ტანსაცმლის, კერძოდ, მამაკაცის კლასიკური სამოსის მნიშვნელობა მიიღო. ეს ტრანსფორმაცია ქართველი საზოგადოების სოციალურ-კულტურულ სტრუქტურებს უკავშირდება, სადაც სამოსს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.

კვლევებით დასტურდება, რომ „**ჩოხა**“ უკვე X საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიულ წყაროშია გამოყენებული, კერძოდ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (951 წ.), სადაც იგი აღწერილია როგორც ტანსაცმლის ერთ-ერთი სახე: „და იხილა დედუფალი იგი დიდსა შინა მონაზნობასა, რომელიცა იყო ასული ბაგრატ შაროელისა ხელმწიფისა რამეთუ სამოსლად მისა იყო შეურაცხი **ჩოხაჲ**“ (ხუცესი... 1985: 93). უფრო გვიანდელ წერილობით ძეგლებში „ჩოხა“ მეტი სიხშირით გვხვდება.

ტერმინი „**çuhâ**“, შეიძლება ითქვას, ისეხა ერმა, საკუთარ ტრადიციებში გადაადნო და ეროვნული თვითშეგნების ნაწილად გარდაქმნა. დღეს ჩოხა ქართულ ცნობიერებაში არა თურქულ და სპარსულ სიტყვას, არამედ ქართველ კაცს, სამშობლოს ღირსებას, წარსულსა და სიძლიერეს უკავშირდება. ის არა მხოლოდ ლექსიკურად, არამედ კულტურულად და ემოციურადაც შეიცვალა, რაც ენის ბუნებრივად ტრანსფორმაციულ ძალას ცხადყოფს. **“çuhâ ქართული იდენტობის აღმნიშვნელად ჩამოყალიბდა – ეროვნული თვითმყოფადობის ნაწილი გახდა.** XIX საუკუნიდან ჩოხა წარჩინებულობასთან, ღირსებასა და კაცობასთან ასოცირდება.

სემიოტიკური ტრანსფორმაციის შედეგად ტრადიციული ზოგად-კულტურული სამოსი **ჩოხა** სასპორტო იდენტობის, კონკრეტულად კი ქართული ჭიდაობის შემადგენელ ნაწილად – საჭიდაო ფორმად იქცა. ალავერდის ტაძრის ერთ-ერთ კედელზე XV საუკუნის ფრესკაა ჭიდაობის სცენით (აბრამიშვილი 1967). უნიკალური შემთხვევაა, რადგან ქართული ჭიდაობა წმინდანების დონეზეა აღზევებული. იგი აშკარად მიაწინებს სიმბოლურ დატვირთვაზე. ჩოხა აღარ არის უბრალოდ სამოსი – რიტუალური ატრიბუტია, რომლის მეშვეობითაც ადამიანი სიწმინდის გზაზე იბრძვის. ალავერდის ფრესკა წარმოადგენს ერთგვარ სემიოტიკურ საკვანძოს, რომელშიც წარსული, რწმენა და იდენტობა ერთმანეთს უერთდება. ის არანაკლები ეროვნული კოდია, ვიდრე ქვეყნის ოფიციალური სიმბოლოები.

ფრესკაზე გამოსახული ფალავნების ჩაცმულობა იმაზეც მიაწინებს, რომ ჩოხა იმდროინდელ (დღევანდელშიც) ჭიდაობაში ტრადიციული სამოსის შენარჩუნების ფორმაც იყო და სწრაფი ილეთების განსახორციელებლად მეტად საჭირო საჭიდაო ატრიბუტი.

ქართულში ჩოხა იმდენად იდენტიფიცირებულია ეროვნული კულტურისა და თვითმყოფადობის სიმბოლოსთან, რომ უცხოენოვანი წარმომშობის კვალი, ფაქტობრივად, არც ჩანს. „ჩოხა“ იქცა არა მხოლოდ ტანსაცმლის აღმნიშვნელად, არამედ, როგორც ითქვა, სასპორტო და კულტურული თვითგამოხატვის სიმბოლოდ, რომელიც ქართული ტრადიციებისა და სასპორტო პრაქტიკის ურთიერთკავშირს უსვამს ხაზს.

დასკვნა

იმის მიუხედავად, რომ განხილული სიტყვები უპირატესად თურქულ-სპარსული ფესვების მქონეა, ქართულში გადააზრებულია, შეთვისებულია და ხშირად გაქართულებული სემანტიკითა და ფორმითაა წარმოდგენილი. ზოგ შემთხვევაში, სიტყვა ეროვნული სიმბოლოს სახეს იძენს.

ზემოაღნიშნული სიტყვების ანალიზი ცხადყოფს, რომ ენობრივი შრეების მიღმა ღრმა კულტურული დინამიკა იმალება. მათი უცხოური წარმომავლობის მიუხედავად, ეს ტერმინები ქართულ ენასა და სასპორტო

პრაქტიკაში არ არის მექანიკურად გადმოტანილი – მათში საქართველოს ისტორიული, სოციალურ-კულტურული და იდენტობის საკითხებიც აისახა. ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ეხმიანება ცვლილებებს და ითვს მათ ისე, რომ საბოლოოდ უნიკალურ სინთეზს – ქართულად განცდილ სიტყვას ქმნის. ამ შემთხვევაში, სასპორტო ტერმინოლოგია არა მხოლოდ სემანტიკურ ერთეულად, არამედ ქართველობის გამოხატულების ერთ-ერთ ყველაზე მეტყველ არხად იქცევა.

კვლევამ აჩვენა, რომ სასპორტო ლექსიკა არა მხოლოდ ენობრივი, არამედ კულტურული ხიდიც არის, რომელიც წარსულს თანამედროვეობასთან აკავშირებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აბრამიშვილი 1967: აბრამიშვილი შ., ალავერდის ახლად გახსნილი კედლის მხატვრობა; „მეგლის მეგობარი“, X-XI. თბილისი, 1967.

აბულაძე 1973: აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი, „მეცნიერება“, 1973.

ასათიანი: ასათიანი ლ., ცხრა ძმა ხერხეულიძე <https://www.aura.ge/316-leqsebi-samshobloze/3728-lado-asatiani--cxra-dzma-xerxeulidze.html> დამოწმება 10.01.2025;

გიგინეიშვილი 2014: გიგინეიშვილი ზ., რაგბის ქართული ტერმინოლოგია, ტერმინოლოგიის საკითხები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2014, გვ. 74-79.

გრიშაშვილი 1997: გრიშაშვილი ი., ქალაქური ლექსიკონი. საარქივო მასალა, ლექსიკონი გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა. თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“, 1997.

დანელია 2021: დანელია ვ., სპორტის ჟურნალისტიკის საკითხები. თბილისი, გამომცემლობა შპს „საჩინო“, 2021, 176 გვ.

დანელია 2022: დანელია ვ., თულუხჩი თუ მერწყულე? ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი ოცდამეორე. თსუ-ს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი, 2022, გვ. 38-43.

ერისთავი 1991: ერისთავი რ., ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს. ქართული კლასიკური დრამატურგიის ანთოლოგია. თბილისი, გამომცემლობა „ქართული თეატრი“, 1991.

კვანტალიანი 2010: კვანტალიანი ე., ქართულ-თურქული ლექსიკონი. თბილისი, 2010.

ნადირაძე 2011: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი / საქ. ეროვნ. მუზეუმი; [პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. ელდარ ნადირაძე; რედ. როინ მეტრეველი; ავტ.-შემდგ.: გვანცა არჩვაძე, მარინა ბოკუჩავა, თამარ გელაძე და სხვ.]. თბილისი, მერიდიანი, 2011.

ნათაძე 1979: ნათაძე რ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4, თბილისი, 1979.

ორბელიანი 1991: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი, „მერანი“, 1991.

რუსთაველი 1992: რუსთაველი შ., „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ამხსნელი მასალა და კომენტარები დაურთო ნ. ნათაძემ. თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1992.

ქეგლ 1986: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული). საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი, 1986;

ჩუბინაშვილი 1984: ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი. მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1984.

ჩუბინაშვილი 1961: ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანით (ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით). თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1961.

ხელნაწერი - მ. ისუ ნ. 9.21 და 23). მ. ისუ ნ. 9.21 და 23 - მცხეთის ბიბლია, ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-51 ხელნაწერი, წიგნი ისუ ნავესი, 9.21 და 23.

ხუცესი... 1985: ხუცესი ი., შუშანიკის წამება, მერჩულე გ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება (სასკოლო გამოცემა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ზურაბ სარჯველაძემ, კორნელი დანელიამ და ელგუჯა გიუნაშვილმა). თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1985.

ჯალაბაძე 1980: ჯალაბაძე გ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბილისი, 1980.

Визитей 2006: Визитей Н., Курс лекций по социологии спорта: Учебное пособие, М.: „Физическая культура“, 2006.

Хьюз 2006: Хьюз Т., Школьные годы Тома Брауна, Перевод: Юлия Глек, 2006. <https://ru.wikipedia.org/wiki/Спорт>; დამოწმება: 10.05.2021.

Rabelais 2016: Francois Rabelais, Gargantua and Pantagruel. Complete, Five Books Of The Lives, Heroic Deeds And Sayings Of Gargantua And His Son Pantagruel (Translated into English by Sir Thomas Urquhart of Cromarty and Peter Antony Motteux), 2016.

<https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/0/თამაშა;>

<https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/თამაშა>

<https://ok.ru/megobrob/topic/67762453405897>; დამოწმება: 18.09.2024;

<https://ok.ru/megobrob/topic/67762453405897>; დამოწმება: 05.09.2022;

References and Sources

Abramishvili 1967: Abramishvili, Sh., Newly discovered wall painting of Alaverdi; “Friend of the Monument”, X-XI. Tbilisi, 1967.

Abuladze 1973: Abuladze I., Dictionary of the Old Georgian Language (Materials). Tbilisi, “Science”, 1973.

Asatiani: Asatiani L., Nine Brothers Kherkheulidze, <https://www.aura.ge/316-leqsebi-samshobloze/3728-lado-asatiani--cxra-dzma-xerxeulidze.html> Certification: 10.01.2025.

Chubinashvili 1984: Chubinashvili D., Georgian-Russian Dictionary, second edition, restored using offset printing, prepared for printing and with a preface by Akaki Shanidze. Tbilisi, “Soviet Georgia”, 1984.

Chubinashvili 1961: Chubinashvili N., Georgian Dictionary with Russian Translation (edited and researched by A. Glonti). Tbilisi, “Soviet Georgia”, 1961.

- Danelia 2021:** Danelia V., Issues of Sports Journalism. Tbilisi, Publishing House “Sachino” Ltd., 2021.
- Danelia 2022:** Danelia V., Tulukhchi or Aquarius? Issues of Georgian Speech Culture, Book Twenty-Two. TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics. Tbilisi, 2022, pp. 38-43.
- Eristavi 1991:** Eristavi R., First They Died, Then They Got Married, Anthology of Georgian Classical Drama. Tbilisi, Publishing House “Georgian Theatre”, 1991.
- Explanatory Dictionary of the Georgian Language (one-volume). Georgian Academy of Sciences, Institute of Linguistics, Georgian Soviet Encyclopedia. Tbilisi, 1986.
- Gigineishvili 2014:** Gigineishvili Z., Georgian Terminology of Rugby, Terminology Issues. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Arnold Chikobava Institute of Linguistics, 2014, pp. 74-79.
- Grishashvili 1997:** Grishashvili I., Urban Dictionary. Archival material, the dictionary was prepared for publication by Rusudan Kusrashvili. Tbilisi, Publishing House “Samshoblo”, 1997.
- Hughes 2006:** Hughes T., Tom Brown’s School Years, Translation: Julia Glek, 2006. <https://ru.wikipedia.org/wiki/Спорт>; Verification: 10.05.2021.
- Jalabadze 1980:** Jalabadze G., Georgian Soviet Encyclopedia, vol. 5, Tbilisi, 1980.
- Khutsesi... 1985:** Khutsesi I., The Martyrdom of Shushanik, Merchule G. The Life of Grigol Khandteli (school edition, the text was prepared for publication and research was added by Zurab Sarjveladze, Korneli Danelia and Elguja Giunashvili). Tbilisi, Publishing House “Education”, 1985.
- Kvantaliani 2010:** Kvantaliani E., Georgian-Turkish Dictionary, Tbilisi, 2010. Manuscript - M. Isu N. 9.21 and 23). M. Isu N. 9.21 and 23 - Mtskheta Bible, Institute of Manuscripts, A-51 manuscript, book Isu Naves, 9.21 and 23.
- Nadiradze 2011:** Ethnographic Dictionary of Georgian Material Culture / Sak. National. Museum. [Project author and scientific director Eldar Nadiradze; Ed. Roin Metreveli; Author-editor: Gvantsa Archvadze, Marina Bokuchava, Tamar Geladze and others]. - Tbilisi: Meridiani, 2011.
- Natadze 1979:** Natadze R., Georgian Soviet Encyclopedia, vol. 4. Tbilisi, 1979.
- Orbeliani 1991: Orbeliani S.-S., Dictionary of Georgian, I. prepared according to autograph lists, research and a search for explanatory vocabulary were added by Ilia Abuladze. Tbilisi, “Merani”, 1991.
- Rabelais 2016:** Francois Rabelais,, Gargantua and Pantagruel, Complete, Five Books Of The Lives, Heroic Deeds And Sayings Of Gargantua And His Son Pantagruel (Translated into English by Sir Thomas Urquhart of Cromarty and Peter Antony Motteux), 2016.
- Rustaveli 1992:** Rustaveli Sh.. “The Knight in the Tiger’s Skin”, the text was prepared for publication, explanatory material and comments were added by N. Natadze. Tbilisi, Publishing House “Education”, 1992.
- Vizitey 2006:** Vizitey N. Lecture Course on the Sociology of Sport: A Tutorial, Moscow: Physical Culture, 2006.
- <https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/0/Game>; Verification: 25.02.2025.
- <https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/Game>; Verification: 25.02.2025.
- <https://ok.ru/megobrob/topic/67762453405897>; Verification: 18.09.2024.
- <https://ok.ru/megobrob/topic/67762453405897>; Verification: 05.09.2022.